

სნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 204.

საბჭოთაო, 25 მარტი 1904 წ.

ბაზისი № 2449

კაი სარებობა გაუთენდათ!

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

ჯერ ღიღაკის ვახშობა გადასული არ იქნებოდა, რომ ლოგინში ჩაბუნებულს ნინიკას უცებ გამოეღვიბა. მიიფშენიტ-მოიფშენიტა თვლები, გადაჰკრა საბნის კუთხეს ხელი და პერანგა წამოხტა ლოგინიდან. მიუახლოვდა ჩანელეულ ბუხარს, წაუჩინჩილა მუგუზებს და ცეცხლის შუქი მთელს სახლს მოედო. გადაავლო თვალი თავის ძველს ტყავს, რომელსაც მთელს ზამთარს მუხლებზედ იხურავდა, წამოავლო ხელი, მარდად გადაიკცა და ღიღების შეცვრით გასწია კარგისაკენ. გამოჰკრა ურდულს ხელი, გამოჰკრა იალო კარები, გამოვიდა გარედ და მიაშტერდა კას. «ე, უხერით მოპულულა, მე ამით ვერაფერს გავეგებ. ისევ სჯობია, ერთი ფეხით წინ ვიარო, ვიდრე დამიგვიანდეს». ფიცხლავ შემობარუნდა სახლში, მიიჯდა გალულუნებულს ბუხარს, ჩამოაწყო კოხზედ გადაკიდებული ქალამან-წინდა, მიიფშენიტ-მოიფშენიტა,

ვანჯინის კარები, დაავლო შანაურ არყის დოქს ხელი და ერთი მაგრა უსუნტა, მოიტება ნახევარი პური და პურის ქამით გავიდა დერფვანში. იქ ჩამოიღო გრძელ ტარიანი ორაგულზედ მოსასმელი ბადე, რომელსაც კერძი ინახავდა, რომ ბაღლებს არ გაეფუჭებინათ და წაბუტბუტა: «ამაღამ უსათუოთ უნდა გავაწრო რამე, თორემ ჩემი საქმე ცუდად არის. ძალიან ხელკარიელი შევესწარ ამ ხარებობა დღეს».

დერფვიდან გამოსული ნინიკა სულ მხრებში იწურებოდა, რომ ფეხის ხმაურობაზედ შეზობლის ძაღლები არ აეტენა, არავის შეეტყო იმის თვეზედ წასვლა და ავის თვალთ არ შეეხდა იმისთვის. ამ სიფრთხილით მიადწია თავის ნათლიამის ბანს, საიდანაც ოდნავ სინათლის შუქი ამოფუტავდა. ნელის ხმით ჩასახა ბანიდან:

— ნათლიამ, ჰა ნათლიამ! მხა რას უყურებ? მგონი, დროა; ცეცხლქაზა ჩაიკო, თორემ დამე გავეგებარება.

— აი, მოვდივარ, — შემოსახა ივანემ, რომელიც კარგა ხანია ნინიკას დამბებას ელოდა და მძიმედ თბებდა ვახურებულს ბუხარზედ. ჩამოვიდა ბოძზედ ჩამოკიდებულს სა-



სამა მარამა. — სურათი კარნაგის.

შემოჰკრა რომდენჯერმე ბუხარის კედელს, მტვერი გააყრევინა, მარდად ჩაიკცა ფეხთა და შეიბანა პირი. მერე გამოიღო

სროლ ბადეს ხელი, შეჰკრა წინ-საფარებელ ტილოში, ფეხ აკრებთ გამოვიდა გარედ და ნინიკას შეეხმარა:

— ნათლი, ისევ აქა ხარ თუ წახვედი?
 — აქა ვარ, აქა. რას წაივლიდი უშენოდ აბა, ჩემო ივანე! ეხლა კი ლმერთი ვახსენოთ და ცოტა ფეხ აკრფეთ



რუსეთის ვლზი ბაზარს რაზუნა იოკაგამოს რეანის-გზის სადგურზე.

გავიაროთ, სანამ სოფელს გავცდებით, თორემ შეგვებებებენა ვინმე და, ხომ იცი ჩვენი იღბალი, დავინავსებთ.

არ ვასულა დიდი დრო, რომ მებაღურები დაუახლოვდნენ აზნაურის მიხილის სახლს, რომლის ფანჯარა ზედ გაზახედ გამოიყურებოდა. სულ ოთხი ნაბიჯი აღარ გადავდგათ ამ სახლიდან, რომ უეცრად გამოვიარდა ეზოდან ძაღლი და გაშმაგებულის ყუთით მისდევდა ფეხებში. თუმცა სიარულს მოუშატეს, მაგრამ ამაღო: ძაღლმა უფრო ხმა-ძაღლი მართოა ყმა.

— ჰეი, ბიჭო, ყიღულაზე გაიხედ ვისა ჰყვეს მურია. უთულო გამოეციდა ვისმე, კაცის ხმაზედ რომ იყუევება! — გისმა ხმა მიხილისა.

ყიღულა გამოვიარდა სამზარეულოდან და ხმა მალღა გასძახა:

— ვინა ხართ, კაცო? არ გცხნით, დადექით, დადექით, თორემ მოვიდა თოფი!..

ნინიკამ და ივანემ ყური არ ათხოვეს, ნაბიჯს მოუშატეს, შეუწყვის ორლობისკენ და დაემშენნენ ფერღობზედ.

ყიღულამ რაკი ევლარაფერი გავარჩია, რამდენჯერმე გაუსტკინ-გამოსტკინა და ბოლოს ძაღლს დაუძახა. შემობრუნდა ყიღულა შინ, შეაღო კარები და შევიდა მიხილის ოთახში. მიხილი ვახშმის შემდეგ ტკბილად იჩიქნა და კბილებს.

— რა ქენი, ბიჭო, ვინ იყენენ? ეგენი კარგი ხალხი არ იქნებოდა, რომ ამ დროს დებებებინა...

— რა ქენა, ბატონო, ვერაფერი გავარჩიე, ძალიანა ბნელა. ჩემი ზმრთიკი ვიცი, ვინც უნდა ყოფილიყვენენ, რომ ხმა არ გამცეს და ისე გავიარეს.

— რატომ არ დაუყვირე, რომ დამდგარიყვენენ?
 — დაუყვირე კიდევც, შენი ქირიმე, თოფიც მივძახებ, მაგრამ იმათ დაღვამის მაგივრად სიარულს მოუშატეს და ლაზარიანთ ორღობისკენ ჩაიბრანეს.

— მაინც ვერ გავარჩიე, ხომ არაფერი მიჰქანდათ?

— გაჩვიეთვი ვერ გავარჩიე, შენი ქირიმე, მაგრამ ჩემის აზრით ეგენი მებაღურები იქნებოდნენ, ნინიკა და ივანე. უნდა მოგახსენოთ, მე მავათვის კარგა ხანია გამოცხადებულმი მიქეს, რომ თუ ჩემმა ბატონმა მოგასწროთ ჩვენ საწყლის-პიროზედ, ცოცხლები აღარ ვალურჩებთი შეთქე; მაგრამ ეგენი მაინც თავისას არ იზიანა და მელრებივით დაძვებინა. იმდენდელი არ იყოს: ერთი დიდი ლასტი გავქედლი სულ მურწა მოგებარ-შით გეტრქას ღუქნში. იმდროს, ეშმაკად, მეც ზედ წავაწყდი. დამინახეს თუ არა, თვალი მომარიდეს და ცხვირი ჯანდაბისკენ წაიღეს. ერთი არ მითხრეს, კაცო, კაცი ხარ თუ ძაღლი; შენ თუ არა, შენს ბატონს მაინც მიაჩთვითა. ხომ იციან, რომ ახალი თევზი ყველას უყვარს და მეტადრე თქვენს. თქვენ არ მომიყვდით, მე უშმრცხვა იმათ მაგიერ და კულამოძებულები გამოვიბარე ღუქნიდან. იმათი კრალაცები მომამახეს. აბა, შენი ქირიმე, რაღას ევეტოლი იმდროს, მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ თქვენზედ კარგს არას ამბობდნენ...


— შე ვიცი და დღვას აღურებნს მავათ მიხილი! ჩამომიღე ჩქარა მათრახი! დღვი ხანია ჩემს მათრახს მავათ ზურგზედ არ უთამაშნია. შენ ცხენები შეკახე!

— მოითმინეთ, შენი ქირიმე, მე ისეთ დროს წავიყვანათ, რომ კიდევაც ღირღეს: ჯერ ერთი კარგად ამოღუნენ ამ სიცივეში და რასაც დაიქტენენ, ჩვენი არ არი, სად წავიყვდენენ?
 — ჰო ეგეც მართალია, მზამზარეულად სჯობია...

ყიღულა ფიცხლავ გაბრუნდა ბოსლისკენ. ორღობიდან გაქცეულნი სულ ისე მიჩაჩაკებდნენ ნინიკა და ივანე, ვიდრე გადაუგვიდნენ ერთს ვიწრო ბილიცს, რომელიც ირიბად მიდიდა წყლის ნაპირზედ.

— მოიცა, კაცო! — შეებმურა ქაქანთი ნინიკა, — პატარა ქარი ამოვიფრია, თორემ მეტი აღარ შემიძლიან. ღამის მიწაზედ დავარდეთ, ისე დავიღლო.

— გადმოდი პატარა აქეთ და აი ამ ბეჭობზედ ჩამოგსხები; აქ უფრო მოუფარებთი ვიქნებითი. — ჩამოჯდა ივანე და დაავლო ფსტამლით ბაღე მიწაზედ. — აი, პატარანი ამოიწყდეს, ძაღლო, როგორც ჩვენ ამოგავტოვე. ეგ ძაღლი ხომ ძაღლია, ეგ კიდევ არაფერი. — ყიღულას რაღა მიაჩრებინებდა და ვაქიოდა. რა ხელდახედი გვეგვასხებოდი, მამა უცხონად, რომ




დაძირული ჟგრაფიკა-ა.

ამბავი შეეტანა თავის ბატონისათვის. დაჯექი, ნინიკა, რაღას უყურებ?

— მაიკო ერთი ეს ბაღე არ დავებო, თორემ მაშინ ამი-შენღება ოჯახი. — დაუშო მძიმედ გრძელ ტარიანი ბაღე, ჩამოჯდა ნინიკა ივანეს გვერდით და ერთი გულიანად ამოიქმნა

ნა:—არას ამოვ, კაცო, რომ არ დევძებია იშუატრომო ძალ-
ლისთვის, ის იყო ბაღეს დავადებული და მეც წაიქვიცოდა.



აღმართალი ტოკო ბრძოლის დროს გეზზე.

ერთი შეხედვე: და როგორ დაუღრღნია ბაღის ტარი. ძლიერსა
ვაცილი ბირიდან. ისე მაგრა ეწყოდა, რომ წასატყვევდ მამო-
რიალებდა.

— ჩემი იღბალი, რომ შენ გეტანებოდა და მეც წინ
შვიტობდი, თორემ დაუღვრეავს არ გამიშვებდა ეგ პიტრონ
შეკდარი!

— არა უშესრა, ჩემო ივანე: კაცმა სამი ხიფათი უნდა
გამოიაროსო, მეგრე კი ფიჭვი ნულარაფრისა ექნება. ჩვენ
ჯერ ხომ მოართო ერთი ენახეთ.

მაღე გაუღდნენ მებაღურები გზას. ბევრი აღარაფერი
მანძილი დარჩნოდათ მებაღურებს, რომ მიუახლოვდნენ ერთს
ჩანებულბულს ხეეს, საითქენაც იმათ უნდა გაეელოთ. ივანე
ხეეს ზედ გელოქმად მიადგა და შეიკავა თავი, რადან კარგა
ღრმა მოსჩანდა და დაუწყო ნაპირებს ჩხრევა. ნინია კიდევ
ზევით სინჯავდა, ყვები იქ მინც ვადამბატრიყენენ.
ამ სინჯვაში ივანეს უცებ მოენგრა ფლაცე და ყი-
რამილა გადაიარა.

— ვაი დღეინების ღმერთსა! ცოცხალი ხარ თუ
არა? ნუ გეშინია! — ჩასახილა მალლიდან ნინია.

ნინია ველსასეით ეცა ხან ზევით, ხან ქვე-
ვით, ბოლოს მინც ქვევით იოვნა ამოსასეულელი
და გახარებულმა ჩასახა:

— ქვევით იარე, ივანე, ქვევით.

ივანეც წამოავლო ფეშტამლის ხელი, ფახფა-
ხით გასწია ქვევით, მალლა აიღდა და მშვიდობიანად
გაუღდნენ გზასა.

— აი, შვილო, ემაზე ნათქვამი: კაცს რაც
უწერია უნდა გადახდესო. ეს ორი ხიფათი გამო-
ვიარეთ...

ლაპარაკით წაადგნენ ბუჭჩარა ქალას. ყველა-
ფერი გაისწორეს, წელში მოხრილები შეშებნენ
შეგა და ხელპირი დავაზუნდნენ და ტანთ შემო-
ფუტკილინს, რის ვი-ვაგლახით, ვაიღდნენ და მია-
დგნენ წყალსა. დიხადეს წინდა-ქალამანი, ჩაიწყეს ჩოხის
უკანა კელთაში და ჩოხის კალთები მაგრად შემოიკირეს
წელზედ. ნინიამ მოიყენა ივანე ქვევით, ხელ გადა-

ხეულნი გავიდნენ მეორე ნაპირს და მივიდნენ თავ წყალზედ.
— ეხლა კი გაივარეთ, ჩემო ივანე, დაქვე ამ თავი-
ლებს; საცო ეს ორი წყალი შევრიდება, იქ უნდა დაუცვლით
ერთი მანს წინ ჩავიდეს, ცეცხლი იმან ააბოლოს.
სანამ ჩავლთ, ვანთიადე მოატანს და აცივდება. მეც ამ
ზევითებს დავაყოლებ ბაღეს და იქ ერთად შევიყვებით.

ივანემ გამოხსნა ბაღე, ფეშტამლი წინ შემოიკრა თე-
ვის ჩასაყრელად, მარცხენა მკლავზედ შეიბა ბაღის თოკი,
რამდენჯერმე შემოიხვია ზედ, აკეცა ბაღე და გასწია თავ-
თხელისაკენ. ნინიამ სულ შემოიარა იქაურობა: ხან აღმა,
ხან დაღმა. ერთი ჩანჭჩარი აღარ გაუშვა, რომ თავისი ბაღე
არ ჩაეყვებინა, მაგრამ ტყუილად აყვებოდა ჩაჩჩაით და
ბოლოს ცარიელ ბაღეს ვადმოავდებდა ნაპირზედ. გულ-მუცე-
ლი სულ გაითქვითა, მაგრამ ვერას გახდა. ერთი შესართა-
ვი-ლა იყო, მეგრე კი იმედი უნდა გადაეწყვიტა.

— ემ, აი კიდევ მოატანა ვანთიადე. ტყუილად დავე-
ტებოდი, ჩვენბრო, ცეცხლი მინც აუნთო ი კაცსა, თორემ
სულ ამოღებოდა ამ სიცივეში, — სთქვა გულში ნინიამ.
ისარიეთ ჰკენდა გულზედ, რომ მოგონდებოდა შინ ხელ-
ცარიელი დბარუნება, რადგან სახლში ელოდა ცოლ-შვილი.
ახსენა ხელ-ახლია ღმერთი და ხარებობის ბედზედ ჩაყუდა
შოსმა. თითქმის შუა ტარის ასცოდა წყალი, ნინია კი მედ-
გრად მისდევდა ნაპირს. სულ ათი ნაბიჯი აღარ იქნებოდა
შესართავმდის, რომ ნინია მუხლის თავებზედ დეცა: „ვაი
შენ ჩემო თეო!“ შესახა ნინიამ და მარად ვადმოუტრია-
ლა ბაღეს, აიბართა ცალ-ფეხზედ, შემოიკლა ხელში ბაღის
ტარი და ქვევით დაყოიბებით, რაც ძალი და ღონე
ჰქონდა, ვადმოიხროდა მშრალზედ და გამოჰყავ თან. „შენი
გამჩნის პირიან, ბიჭო ნინიაც!“ სთქვა და დაწვა ორავლეს,
რამეცოც სულ მადლა-მალა ხტოდა. როცა მოიკენცა,
ცალი ხელი ლაყუშში გაუტარა, მეორე ხელით შეიხსნა მო-
შახლებული ბამბის თოკი, გაუყარა ლაყუშში და მაგრა ჩაუ-
ნასავა: „ტყუილად ფორთხალობ, ეხლა ჩემი ხარ, ვენაყე-
ლე ხარებობის დღეს, რომ კარგად მახარა. ჰაჯან, ბიჭო,
ფუის ვადაქაბებებს, თორემ ნაკლები კი აღარ მოვა“. ჩაუ-
შვა წყალში და გამობა მოჯარზედ. ამის შემდეგ მიკრიბ-
მოკრიბა ნარეკი, ცეცხლი ვაღულბუზა, ამოუშვა შარვლის
ტოტები და ცეცხლის მიუშვირა.

ივანესაც ბევრი აღარაფერი მანძილი დარჩნოდა შე-
სართავმდის, რომ დიანახა ცეცხლის შუქი და, სიცივისაგან
მობუზულმა, ტუსტუსით გასწია ცეცხლისაკენ და ჩუმად წა-
დგა თავზედ ნინიას. შეხედა თუ არა ვატერის ფეშტე-
მალს, ნინიამ მხიარულად უთხრა:



აიხინას ვარი რეზისა გზას ვაკობში.

— ყოჩაღ, ბიჭო! კარგად გარჯილხარ!
— მამ არადა შენსავით ცარიელს დავიარახებებ ქვეზედ

ბაღეს? დიქი, ჩამობართვი ე თვეზი, პირი მოაკარ მავრა და ამი მოჯარუნდ მიბბი.

ნინიკამაც ჩამობართო ფეშტამალი, მოჰკრა პირი და ისევ ივანეს მიჰყოლა.

— მოდი, შენი პირიმი, ისევ შენ მოუარე, მე ამისი არა ვიცი-რა.

ინენივაც გამოართო ფეშტამალი და გაქანა მოჯრისაკენ. ბნელსაჲ ვიგრა ვაიგო-რა, მოუხებდა ხელი თოკზედ, რომელზედაც ორაგული იყო გამობმული და იმნარიად შენჩქარა წყალი, რომ ჩენი ივანე კინდამ შიგ ჩაერთა.

— ჰე, შე მაცდურო, შენა, იმიტომ იყავ არხინდ, რომ აოჯას გეგულეზობო!

ივანეს და ნინიკამ ბვერი აღარაფერი დაიგვიანეს და თავიანთ დავლით გვიდენდ გაღმა ტრტში. ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო, რომ ამოვიდნენ ვახუდ. ჩახსნეს ჩოხის კოლოთები და დიწყეს ქალამნების ჩაცმა. ნინიკა მთერე ქალამანს იცვამდა, რომ უტევ ყურები სქვიტო, თავი ბაღლა აიღო და დაიწყო გზისკენ ყურება.

— ივანე, მოუჭკარე, მოუჭკარე, თორემ ცხენის ფეხის ხმა ისმის. წამოგაწყლებდა ვინმე.

ის იყო ქალბის უკანასკნელ თასმებს იკრავდნენ, რომ ცხენებით თავს წამოადანენ მიხილი და ყიდულა. ივანე და ნინიკა ფიცხლავ წამოცივდნენ, ქუდებზე იტაცეს ხელი და ერთხმად შესახეს:

— ბატონი მიხილი აღდგერპელის ღმერთმა!

ჯერ სიტყვენი არ დაემთავრებინათ მებადურებს, რომ მიხილმა პირიად სიტყვა გამოსტაცო და მისახანდ მიახხა:

— ვის მამულში უბნადღობლით თქვენა? მიზნართი ჩქარა, ვინ მოგვით ნება, რომ ჩემს მამულში თევზს იკურთ?

— რას გვიბანებთ, ბატონო, თქვენს მამულში რა გვირდობა...

— მაშ საღ დაიჭირეთ ეს ამოღელი თევზი, მთუ არა ჩემს მამულში? — თანაც თვალი გადაავლო მორაკულად ორაგულს, რომელსაც ნინიკა ეფარებოდა. — შე სულ გიშლით, რომ ჩემს მამულში ფეხი არ დასდგათ მეთქი, ახში ყიდვე შინაც ჩემს ხელში ჩაივარდით. აბა, ბიჭო, რას უყურებ, მოხსენ ხურჯინი და ჩაჰყარე თევზი.

— მოითმინეთ, ბატონო, თქვენ რათ სწუხებდით: ესეც არ იყოს, ვანა ჩვენ არ გაქმვით თევზსა.

— როგორ თუ მაქმვით! ჩემს მამულში „დატერილ თვეზი“ შე უნდა მომიხადრიელოთ? ჩაყარეთ მეთქი ხურჯინში, გიბანებთ!

ყიდულამაც წამოავლო ფეშტამალს ხელი, მაგრამ ნინიკა და ივანე მისცივდნენ ხელებში.

— ბაიკა, კაკო, შენ რაღას სწახიხარ? მთელი ღამე ამაზე დავიხოცენით, ძლიეს ღმერთმა მოგვხედა და ვვაც თქვენ მივაქეთ? ხომ გეუბნებით, ჩამწამს მოგებრავით, უწინ თქვენ მოგართმევით. სხვა რა გინდათ? კიი რამ თქვენს მამულში არ ვიყავით, თორემ შიგ ამოვგებოცამდი.

— ერთი უფურე და ამ შენგენებულებს, როგორ უფარსაც ამბობენ! გაუშვით მეთქი, თორემ მაიმინის ბათლომეს სული არ წამიწყდება, ცემით ტყავებს დაგადრობთ.

— დაიჯერეთ, მიხილი, გეფიცებით, რომ ჩვენ სიაჯაროში ვიყავით და არა თქვენს მამულში.

— შე ეგერი არ ვიცი, ჩემს მამულსაც მოჰხვებდობით. ჩაჰყარე მეთქი, რას უყურებ!

— რაქნა, ბატონო, ოროლნი მებლაუქებიან, როგორ ჩავყარო! გაუშვით რაღა კაკო, რას გვიძლიანდებით? — ეჯავგებოდა ყიდულა.

ნინიკა და ივანე მაგრა ებლაუქებოდნენ ფეშტამალს, რომ უტევ ვიეღვა მიხილის მათრახმა და სეტყვასვით დააყარა თავპირში.

— ამოთანა ღორებს ესე უნდა და არა პატროსნური ლაპარაკი, აბა ნუ გაუშვებთ და დამიმგრდით!

მათრახისგან თავიპირ ჩამავებულემა გაუშვეს ხელი და სჩქაროდ დაასდნენ ორაგულს. ყიდულამ სწრაფად წამოავლო ფეშტამალს ხელი და ჩაუქახა ხურჯინში.

— რაღას სდგეწარ, ასწიე ორაგული და მეორე მხარეს ჩაუბახე!

ყიდულამ დაღუმი ხურჯინი და გაქენა ორაგულისაკენ. ხელახლა შეუდგნენ ბღლარბუნს.

— ზედ დავიხოცებით და არ დავანებებთ! — იძახოდნენ მებადურები.

— მაშ თუ დახოცვა გინდათ, დაიხოცენით! — შეტყვირა მიხილმა, ზედ შეეგლო ცხენი და თავპირში დაღუშინა მათრახი...

მიხილმა მათრახი სულ ზედ დააღწეწა, მაგრამ ვერას ვახდა-რა. გამარჯვება მებადურებს რჩებოდათ. ცოფ-მორეულმა მიხილმა იძრო ხმალი და ჰვერში გააპარიალა.

— მომეცა, ერთი მავ ღორებს თავები დაეჩხეცო! — და გაბრახებულმა ყუთი მოსცხო ნინიკას თავში. დარტყანვული ნინიკა გულ-აღმა გადმოვარდა. ნინიკას დანახვზე ივანეს ბრახი მოერია. მგელივით მივარდა ყიდულას, რომელიც ხელიდან სხნდა თოკს, რახედაც ორაგული იყო გამობმული, წასტაცა ხელიდან თოკი და აცალი ხელით ყანყარატოში წაუჭერია.

— თავს მოვიკლამ და არ დავანებებთ, თქვე სისხლის მსმელებო, თქვენა!

მიხილმა არც ივანეს დააყარა ხერი და მალე თავის ხელით ისიც დასცო მიწაზედ. ყიდულამ მაშინვე ორაგულს წამოავლო ხელი, ხურჯინის მეორე თვალში ჩაუქახა, გადაჰკიდა ცხენს, და ფიცხლავ მოჰკურცხლეს შინისკენ.

ასე გაუთენდათ ხარებომა ნინიკასა და ივანეს.

წ. მარტოლეკიშვილი.



— გასსოვს, ისიღორე, ხარგვალ რამ მაგოქე ქე; დღა-წემსზე დინახა და მაშინვე დაჯვდოდა.
— ნეტავი მაშინვე დალოფვის მაგოვრად სიღა კაურტე!

რედაქტორ-კამოქეკელი ალ. ჯაბადარი.